

1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	12 616.30	12 438.2	5 802.3	46.6 %	73 564.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 82 861 გასვლა;
- მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარითული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- გარემონტდა დიპლომატიური მისიების, მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 26 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 15 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი (ფურგუნის ტიპის) მიკროავტობუსის შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ღირებულების 70%-ის ავანსის სახით გადარიცხვა;

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ანგარის ტიპის სასაწყობო კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები;

- ყოველდღიურად დაგროვილი ინფორმაციის, მონაცემების დაარქივებისა და საიმედოდ შენახვის უზრუნველსაყოფად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მყისიერად აღდგენის შესაძლებლობის მიზნით შექმნილ იქნა მონაცემთა შემნახველი სისტემა (NAS Appliance);

- არსებული დაცვის სისტემის რადიო-გადამცემების აღდგენისა და დაცვაში არსებული პრობლემური ობიექტებიდან (ქეშბოქსები, საცავები და ა.შ.) სიგნალების დროული მოსვლის უზრუნველსაყოფად განხორციელდა (AES) ცენტრალური გარდამქმნელების და რადიო მოდულების შესყიდვა;

- თბილისის აეროპორტის ვიდეო-მონიტორინგის სისტემის გამართული მუშაობისათვის შექმნილ იქნა ტექნიკა (10 ცალი სადისპლეო სადგური, 10 ცალი მონიტორი, 1 ცალი HDMI KVM სვიჩი, 5 ცალი კომპაქტური ვიდეო ჩამწერი, 18 ცალი HDMI დამაგრძელებელი).

- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დაცული ობიექტების რაოდენობის ზრდის დინამიკიდან და მათი გეოლოკაციიდან გამომდინარე, სისტემის დაფარვის ზონის და გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით შექმნილ იქნა 8 ცალი AES IP-Link მიმღები;

- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შექმნილ იქნა 500 ცალი საკონტროლო პანელი, რომლის ფუნქციას დასაცავ ობიექტზე დამონტაჟებული ყველა მაუწყებლიდან შემოსული ინფორმაციის დამუშავება და რადიოგადამცემის მეშვეობით ცენტრალური მართვის პულტზე გადაცემა, ასევე დასაცავი ობიექტის ზონებად დაყოფა, რათა განგაშის შემთხვევაში ოპერატიული რეაგირების ჯგუფს მიეწოდოს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დაცული ფართის რომელ ზონაში მოხდა არასანქცირებული შეღწევა.